

ნომერი 1

საკენ-ჭუბერის უღელტეხილი - დევნილთა მემორიალი

მარიამ ჯმუხაძე

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ ჯმუხაძე. 14.02.2018.

## აბსტრაქტი

**შესავალი:** კვლევა შეეხება XXI საუკუნის კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. იძულებით გადაადგილებულ პირებს მსოფლიოშიდა ამის პარალელურად საქართველოს მასშტაბით . 2017 წლის მონაცემებით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 68.5 მილიონს მიაღწია, რაც შედარებისთვის საფრანგეთის მოსახლეობას აღემატება. ეს რიცხვი ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ყოველი მეცამეტე ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირია, საიდანაც ნახევარზე მეტი არასრულწლოვანია. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, იძულებით გადაადგილებულ პირთა ფენა 1990-იანი წლების შიდა კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა რასაც 2008 წლის ომი დაემატა და დღესდღეობით ჩვენი ქვეყნის დევნილი მოსახლეობა 273.411 შეადგენს. რაც 88.704 ოჯახს უდრის.

**მიზანი:** კვლევის მიზანია სამიზნე აუდიტორიას დაანახოს, თუ რამდენად სერიოზულია დევნილობა, როგორც მსოფლიო მასშტაბის საზოგადოებრივი კატასტროფა და როგორც პირადი ადამიანური ტრაგედია, რომელიც წარმოუდგენელ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. არქიტექტურას კი - როგორც გამოხატვის ერთ-ერთ შესაძლებლობას, სივრცითი მანიპულაციების საშუალებით შეუძლია სასურველი მესიჯები მიიტანოს ადამიანებამდე და ემოციური ზეგავლენა მოახდინოს მათზე.

**მეთოდები:** სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, როგორცაა გეროს დევნილთა სააგენტო , ახორციელებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასამარებლად, რათა სათანადოდ მოხდეს მათი უფლებებისა და საჭიროებების დაცვა. ასევე ახორციელებენ აღრიცხვასა და აწარმოებენ პერიოდულ ანგარიშებს არსებულ სიტუაციაზე. ასევე მნიშვნელოვანია სხვა მცირე ორგანიზაციები, კერძო ინიციატივები, თუ თავად დევნილი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოება ინფორმაცია მიაწოდონ პირადი მაგალითის საშუალებით.

**დისკუსია/შეჯამება:** ფაქტია, რომ რიცხვები შემადრწუნებელია, თუმცა უფრო მძიმე იმს გაანალიზებაა, რომ ამ სტატისტიკის უკან ადამიანთა განსაკუთრებული, ერთმანეთისგან

გამორჩეული სიცოცხლე და ისტორია დგას და არა უბრალოდ რიცხვები. ამიტომ მათთვის მთავარია, ისინი დავინახოთ, მივიღოთ და დავეხმაროთ ახალ გარემოში ინტეგრირებაში.

**საძიებო სიტყვები:** იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები, ლტოლვილები, მემორიალი, მემორიალური არქიტექტურა,

## შესავალი

საკვლევ საკითხს/პრობლემას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირები და მათ პრობლემები, როგორც მსოფლიო მასშტაბით ასევე საქართველოს მაგალითზე. უფრო კონკრეტულად კი მიმდინარე ლტოლვილთა კრიზისის, როგორც მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის გაანალიზება და ამ ფონზე საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლა. ასევე დევნილობის, როგორც გლობალური მოვლენისა და როგორც პირადი, ადამიანური ტრაგედიის ასპექტების გამოკვეთა.

პირველი მსოფლიო ომის, უფრო მეტწილად კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და შემდეგ უამრავი ადამიანი იქცა იძულებით გადაადგილებულ პირად. რაც ომის დასრულების შემდეგ გაეროს მთავარ პრობლემად იქცა. სწორედ ამიტომ 1951 წელს გამოიცა ჟენევის კონვენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დასაცავად. კონვენციით განისაზღვრა თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ლტოლვილად, რა სახის ლეგალური მფარველობა უნდა მიიღოს და რა სოციალური თუ სხვა უფლებები უნდა იყოს დაცული. ამასთანავე განისაზღვრა ლტოლვილ ადამიანთა მოვალეობები შემფარებელი ქვეყნის მიმართ. თუმცა 1951 წლის კონვენცია მოიცავდა მხოლოდ ევროპის არეალს, რისი ჩასწორებაც 1967 წელს მოხდა დამატებითი ოქმით, რომელმაც გააფართოვა კონვენციის სამოქმედო საზღვრები და გავრცელდა ყველაზე, ვინც ექცეოდა პირველადი დოკუმენტით განსაზღვრულ ადამიანთა რიცხვში. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია შეეხება მხოლოდ ლტოლვილებს, ანუ ადამიანებს, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს და შემწეობასა და მფარველობას მოითხოვს სხვა